საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 8 23 0000039943

17/01/2023

**„სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამისგან გამოყოფისშესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის17ივნისის №662814 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. 2022 წლის 17 ივლისის №662814 "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამისგან გამოყოფის შესახებ" გადაწყვეტილების დანართი №1-ში შევიდეს ცვლილება და მე-19 პუქტში აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად განისაზღვროს ჰუმანიატრულ მეცნიერებათა კლასტერის ვადა, კერძოდ 2022 წლის 28 თებერვალი;
2. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 17 იანვრის №39745 სხდომის ოქმის №08 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ 2 საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო 1 დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. No2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით